სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

ღვინის ეროვნული სააგენტო და მუზეუმი ღვინის მარანში განთავსდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პრეს-სამსახურის ცნობით ღვინის ეროვნული სააგენტო და ღვინის მუზეუმი განთავსდება ღვინის მარანში, რომელიც აშენდა 1962 წელს მსოფლიო ღვინის კონგრესისთვის. მარანი მასპინძლობს 25 000 ბოთლ სხვადასხვა ღვინის კოლექციას, მათ შორის უძველესი 107 წლისაა, განაცხადეს პრეს-სამსახურში. კოლექციის განთავსების ადგილი რეკონსტრუირებულ იქნება. პრეს-სამსახურში განაცხადეს, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ ღვინის მუზეუმი მოეწყობა სარდაფში.

Sarke Information Agency, 09.10.2014

სურსათის ეროვნული სააგენტო გადავა მუშაობის ახალ სტანდარტზე

დღეს სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალი ოფისი გაიხსნა, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნოლოგიებით. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა გახსნის ცერემონიაზე, რომ ეს სამსახური სრულიად უფუნქციოდ იყო წლების განმავლობაში. „ყოფილი ხელისუფლების მიდგომა იყო, რომ ბაზარი დარეგულირდებოდა თავისთავად, რაც შეუძლებელია", განაცხადა მან. სააგენტოში ამბობენ, რომ მათი საქმიანობა ამ წელს მნიშვნელოვნად გაფართოვდა: საწარმოების ინსპექტირება გაიზარდა, დიდი ყურადღება ექცევა სასკოლო და სკოლამდელი კვების ბლოკების კონტროლს. უნდა აღინიშნოს, რომ იგეგმება სააგენტოს 13 ახალი რეგიონალური ოფისის გახსნა ქვეყნის მასშტაბით. სააგენტოში დასაქმდება 500-მდე თანამშრომელი.

Sarke Information Agency, 09.10.2014

ქართული ღვინის პოპულარიზაციას სჭირდება ქვეყნის ბრენდის შექმნა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ბლოგზე გამოქვეყნებულ სტატიაში წერენ, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების გარდა ქართული ღვინო უცნობი რჩება საზოგადოებისათვის. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მწარმოებელი ქვეყნის პოპულარიზაცია უფრო ეფექტურია, ვიდრე კონკრეტული ბრენდის რეკლამირება, აცხადებს სტატიის ავტორი ნინო მოსიაშვილი. „ღვინის საოჯახო წარმოება 2-3-ჯერ აღემატება ღვინის საწარმოებისას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნის და ფასის ზრდის შემთხვევაში კონკურენცია ქართული ღვინის საწარმოებს შორის გამოიწვევს ყურძნის ფასის ზრდას ასევე", აღნიშნავს ის. ქართული ღვინის პოპულარიზაციის საუკეთესო გზას მოსიაშვილი ხედავს ქვეყნის ბრენდის შექმნაში. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს შეუძლია ქვეყნის ბრენდი არა მხოლოდ ღვინის, არამედ ტურიზმის, მინერალური წყლების, საკვების და ა.შ. პოპულარიზაციისთვის გამოიყენოს", „თუმცა, ასეთი ბრენდი ვერ შეიქმნება კერძო კომპანიების მიერ, მაშინაც კი, თუ ისინი ერთობლივად იმოქმედებენ", მიუთითებს ავტორი და დასძენს: „მხოლოდ ხელისუფლებას შეუძლია შექმნას ქვეყნის ბრენდი და ამ ფაქტს სერიოზული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს".

Sarke Information Agency, 09.10.2014

სარწყავი სისტემების დაფინანსება გაიზარდა, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამისა შემცირდა

ფინანსთა სამინისტროს ცნობით სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება გაიზრდება 2015 წელს 27,5 მლნ ლარით (2014 წელთან შედარებით) და მიაღწევს 291 მლნ ლარს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება განიხილეს დღეს საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის შეხვედრაზე. როგორც შეხვედრაზე ითქვა, სამინისტროს დაფინანსება მოიცავს 100 მილიონ ლარამდე მელიორაციისა და სარწყავი სისტემის

განვითარებისთვის (ზრდა 2014 წელთან შედარებით დაახლოებით 41%). ამასთან, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის დაფინანსება შემცირდება 1,7-ჯერ და 36 მილიონი ლარი იქნება. მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო სამუშაოების დაფინანსება არ შეიცვლება - დაახლოებით 50 მილიონი ლარი იქნება, როგორც იყო 2014 წელს. გარდა ამისა, როგორც საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ განაცხადა 230,2 მილიონი ლარია გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამისთვის, რაც 12,9 მლნ ლარით აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს. ეს დაფინანსება მოიცავს 21 მილიონ ლარს ახალი ქვე-პროგრამისთვის - ფერმერულ მანქანა-დანადგარებთან დაკავშირებულ (სესხები და იჯარა) ვალდებულებებს. სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვის და ეპიზოოტური კეთილსაიმედოობის დაფინანსების პროგრამა გაიზარდა 1,238 მლნ ლარით და დაახლოებით 26,42 მილიონი ლარი იქნება. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დაფინანსება თითქმის გაორმაგდა, მიაღწია რა 13,5 მილიონ ლარს.
Sarke Information Agency, 09.10.2014

ღვინის ექსპორტი ფულადი გამოხატულებით გაიზარდა 64%-ით, ხოლო ბუნებრივი გამოხატულებით - 62%-ით

ღვინის ეროვნულ სააგენტოში განაცხადეს, რომ ქართული ღვინის ექსპორტი 9 თვის განმავლობაში 137,1 მლნ-ს აღემატებოდა ამ წელს. თუ 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემს შევადარებთ, მოცულობა გაიზარდა 64%-ით. ბუნებრივი გამოხატულებით ექსპორტის მოცულობამ 42,8 მილიონი ბოთლი (0,75 ლ) შეადგინა, რაც წლიური 62%-ია. ქართული ღვინის ექსპორტირება ხდება 39 ქვეყანაში, აქედან პირველ ხუთეულში არიან რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ბელორუსია, განაცხადეს სააგენტოში. რუსეთი ფლობს ექსპორტის საერთო მოცულობის 65%-ს. საანგარიშო პერიოდში რუსეთში ექსპორტი იყო 27,937 მილიონი ბოთლი, თუმცა არ მიუთითეს ექსპორტის ღირებულება. ათეულში შედის ასევე ჩინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და აზერბაიჯანი. სექტემბრისთვის 8,787 მილიონი ბოთლი (0,5 ლ) კონიაკის ექსპორტი მოხდა 14 ქვეყანაში. ფულადი გამოხატულებით ექსპორტის მოცულობამ 29,04 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 41%-იანი ზრდაა წლიურად. წამყვანი ბაზარია უკრაინა, სადაც ექსპორტმა შეადგინა 4,28 მილიონი ბოთლი, რუსეთი კი მე-2 ადგილზეა 3,976 მილიონი ბოთლით.
Sarke Information Agency, 07.10.2014

აგროსერვისის ცენტრმა მიიღო ადრეული ციტრუსის პირველი მოსავალი

აჭარის მთავრობის ცნობით ადრეული ციტრუსის მთლიანი მოსავლიდან, რომელიც მიიღო აგროსერვისის ცენტრმა ექსპერიმენტულ პლანტაციაზე ჩაქვში (15 ტ), მანდარინზე მოდის 8 ტ. უნდა აღინიშნოს, რომ აგროსერვისის ცენტრმა დარგო 65 სხვადასხვა სახეობის 15 000 ციტრუსის ხე 11 ჰა-ზე. პრესსამსახურის განცხადებით წლევანდელი მოსავალი გაიყიდება აუქციონზე და ფული გამოყენებულ იქნება აგროსერვისის ცენტრის განვითარებაზე. 2015 წელს აგროსერვისის ცენტრი გაავრცელებს ციტრუსის ნერგებს ადგილობრივ ფერმერებს შორის სიმბოლურ ფასად, რათა განაახლოს ციტრუსის ჯიშები აჭარაში, განაცხადეს პრეს-სამსახურში. როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძემ განაცხადა, „ჩვენ ვაპირებთ ტრადიციული ციტრუსის ჯიშების შეცვლას ადრეული ჯიშებით მთელ აჭარაში, კერძოდ - ქობულეთსა და ხელვაჩაურში". „მინიმუმ ერთი საწარმო დაემატება ქობულეთის რაიონში, რომელიც გადაამუშავებს კონცენტრატს", განაცხადა ხაბაძემ და დასძინა: „ჩვენ შევძლებთ მივიღოთ დაახლოებით 500-600 ტ არასტანდარტული მანდარინი 24 საათში". აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ცნობით ასევე არსებობს გეგმები სამაცივრე საცავების გაფართოების თაობაზე 300 ტონამდე, რაც „სეზონს გაახანგრძლივებს თებერვლის ჩათვლით". „ჩვენ უკვე გვაქვს მოლაპარაკებები მეზობელ ქვეყნებთან: აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, ბელორუსია და რუსეთი", განაცხადა ხაბაძემ და დასძინა, რომ „წლევანდელი მოსავალი ნაკლებია, ამიტომ ჩვენ ველით, რომ მივიღებთ დაახლოებით 80 000 ტონა ციტრუსს".
Sarke Information Agency, 08.10.2014

საქართველომ უნდა მიიღოს გრანტი 5 მლნ აშშ დოლარის ფარგლებში სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის პროგრამით

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით გრანტი 5 მილიონი აშშ დოლარი დამტკიცდა საქართველოში სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის და ბაზარზე დაშვების ახალი პროგრამისთვის. სულ პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 19 მილიონ აშშ დოლარს, აცხადებენ სამინისტროში. ეს პროგრამა, ასევე მიმდინარე პროექტები, განხილულ იქნა შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის განვითარების (IFAD) საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელობის და მინისტრ ოთარ დანელიას შორის ამ უკანასკნელის ვიზიტის დროს იტალიაში. სამინისტროს ინფორმაციით მხარეებმა ასევე განიხილეს IFAD-ის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში, რომელიც, სავარაუდოდ, 2015 წლის გაზაფხულზე მოეწყობა. IFAD-ს სექტემბრის მონაცემებით ფონდის კრედიტებმა საქართველოში უნდა შეადგინოს 13,3 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო გრანტი 5,3 მილიონი აშშ დოლარი უნდა გამოყოს გარემოს დაცვის გლობალურმა ფონდმა (პროგრამის ერთ-ერთი კომპონენტი ითვალისწინებს კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას). როგორც IFAD მოელის, საქართველოს ხელისუფლების თანადაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 2,45 მილიონ აშშ დოლარს, მაგრამ სავარაუდოა, რომ ეს იქნება 1,8 მილიონი აშშ დოლარი.

Sarke Information Agency, 08.10.2014

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: საფერავის რეკორდული ფასი დაფიქსირდა ამ წელს

სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ საფერავზე (წითელი ყურძნის ჯიში) დაფიქსირებული ფასი წელს იყო რეკორდულად მაღალი. ამ წლის 4 ოქტომბრისთვის 39 121 ტონა საფერავი (ამ ჯიშზე მოდის საერთო მოსავალის 34%) იყო გადამუშავებული. თავის მხრივ, მევენახეების შემოსავლები საფერავიდან 76,74 მილიონი ლარია (საერთო შემოსავლის დაახლოებით 50%). ამ ციფრების გათვალისწინებით 1 კგ საფერავის ფასმა გადააჭარბა 1,96 ლარს. ამ წელს მთავრობამ მოახდინა 1 კგ საფერავის შეძენის სუბსიდირება 0,15 ლარით, ხოლო 1 კგ რქაწითელის (თეთრი ჯიში) – 0,35 ლარით. საერთო ჯამში, 114 809 ტონა ყურძენი გადამუშავდა კახეთის რეგიონში 4 ოქტომბრისთვის, ხოლო მევენახეების შემოსავლებმა 153,6 მილიონი ლარი შეადგინა, აცხადებენ სამინისტროში. სამინისტრო აღნიშნავს, რომ 92 371 ტონა ყურძენი გადამუშავდა 2013 წელს, როდესაც მევენახეების „შემოსავლებმა რაჭასა და კახეთში შეადგინა 108,15 მილიონი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებამ დააფუძნა ღვინის ეროვნული დღე (4 ოქტომბერი), რომელიც პირველად წელს აღინიშნა. როგორც პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, განაცხადა სტუმრობისას ალავერდში (კახეთი), „ჩვენ ვამაყობთ, რომ ქართველებმა ცივილიზაციას შემოუნახეს განსაკუთრებული, უნიკალური ღვინის მიღების უძველესი ტექნოლოგია" (ღვინის ქვევრში დამზადების ქართული ტრადიციული მეთოდი, რომელმაც მიიღო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი UNESCO-სგან). სწორედ ამიტომ ჩვენ გადაწყვიტეთ ღვინის მუზეუმის დაარსება, განაცხადა ღარიბაშვილმა. პრემიერის თქმით, მუზეუმის განვითარების ფონდი მზად არის რეგისტრაციისათვის და სამეთვალყურეო საბჭო დაფუძნებულია. რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა მსოფლიოში ცნობილ სპეციალისტებთან და არქიტექტორებთან.

Sarke Information Agency, 06.10.2014

ბანკები და ფინანსები: „აგროდაზღვევა უკვე დაწყებულია, მაგრამ მთავრობა არ ჩქარობს კანონპროექტის ინიცირებას"

როგორც სტატიაშია აღნიშნული, სადაზღვევო კომპანიები ძირითადად ორიენტირებული არიან აჭარის რეგიონზე აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში. კომპანიები აპირებენ, რათა უზრუნველყონ ციტრუსის პლანტაციების დაზღვევა მოსავლის აღებამდე. პროგრამის საინფორმაციო კამპანია უკვე მიმდინარეობს, თუმცა ფერმერების ნაწილი ამბობს, რომ მათ ჯერ არ სმენიათ ბევრი პირობის შეახებ, წერს გაზეთი. აგროდაზღვევის 1-წლიანი საპილოტე პროგრამის მიხედვით სახელმწიფო გამოყოფს 5 მილიონს (ლარი) სუბსიდიის სახით, რაც

დაფარავს სხვადასხვა ნათესების სადაზღვევო ღირებულების 70-95%-ს. პროგრამაში ჩართულია 5 სადაზღვევო კომპანია (GPIH, „ალდაგი“, IC Group, „ირაო“ და „ქართუ“). „ალდაგში“ აღნიშნავენ, რომ მათ დააზღვიეს აჭარის ფერმერები წინა წელს სუბსიდიის გარეშე, მაგრამ ზარალი დიდი იყო, რადგან შემოდგომაზე ყინვებმა დააზიანა მოსავალი. რისკი მაღალია სუბსიდიის პირობებშიც კი, აცხადებს კომპანია და გეგმავს გადაზღვევას ევროპულ გადამზღვეველებთან. ამავე დროს, გაზეთი წერს, რომ კანონპროექტი აგროდაზღვევის შესახებ არ არის ინიცირებული ჯერ კიდევ. როგორც პარლამენტის სოფლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი განმარტავს, კომიტეტი თავს იკავებს მოქმედებისგან „სანამ საპილოტე პროექტის და კვლევების, რომლებიც ჩატარდა ერთობლივად გერმანიის მთავრობის განვითარების ბანკის მიერ, შედეგები არ იქნება ცნობილი". თავის მხრივ, ფერმერთა ასოციაციის უფროსი ნინო ზამბახიძე მიიჩნევს, რომ საპილოტე პროგრამა გამოავლენს ბევრ ხარვეზს, რომლებიც გათვალისწინებული იქნება აგროდაზღვევის მომავალ სახელმწიფო პროგრამაში (გამოქვეყნდა 4 ოქტომბერს).
Sarke Information Agency, 06.10.2014

პრივილეგია თუ კონკურენცია აგროდაზღვევის ბაზარზე
წელს პირველად ხელისუფლება აზღვევს ციტრუსის მოსავალს 5 მილიონი ლარის ღირებულების აგრო-დაზღვევის საპილოტე პროგრამის ფარგლებში. პროგრამა მოიცავს 5 სადაზღვევო კომპანიას: „ალდაგი“, GPIH, IC Group, „ირაო“ და „ქართუ“. აღინიშნა, რომ ორი სადაზღვევო კომპანია მუშაობს ციტრუსის დაზღვევაზე აჭარაში და გურიაში, ესენია „ქართუ“ და GPIH. სახელმწიფო პროგრამის მიხედვით დაზღვევა ვრცელდება მხოლოდ ციტრუსის მოსავალზე 1 სექტემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. თუმცა, ქართუ სთავაზობს ციტრუსის დაზღვევას 1 თებერვლამდე. „ქართუს“ კოორდინატორი ნატანებში (გურია) ირაკლი ნიკოლაიშვილი განმარტავს, რომ კომპანია სთავაზობს გლეხებს პროგრამის პირობებს „ანუ, ციტრუსები დაზღვეულია შემოდგომის სიცივისგან 10 დეკემბრის ჩათვით, ხოლო დაზღვევა სეტყვის, ღვარცოფის და ქარიშხალის შემთხვევაში გაგრძელდება 1 თებერვლამდე". თუმცა, GPIH მიიჩნევს, რომ „ქართუ“ „მანიპულირებს ამ პერიოდით - ფაქტობრივად, ზარალი აუნაზღაურდებათ მხოლოდ 10 დეკემბერის ჩათვლით. ეს პირობა ჩაწერილია მათ პოლისებში შავით თეთრზე". გარდა ამისა, სტატიის ავტორი ამტკიცებს, რომ „ქართუ“ სარგებლობს შეღავათებით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თვალსაზრისით სხვა სადაზღვევო კომპანიებთან შედარებით. მაგალითად, კომპანიის ოფისი სოფელ ნატანებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, მდებარეობს ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობაში. ამ ფაქტს ადასტურებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ილია თავაძე და აცხადებს: „მე შევთავაზე (ფართი) GPIH-ს ასევე, მაგრამ მათ უარი თქვეს გაურკვეველი მიზეზების გამო. მე შენობაში შესვლის ნებართვას ყველას მივცემ". თავის მხრივ, GPIH-ში არ ახსოვთ აღნიშნული შეთავაზება. სტატია გამოქვეყნდა გაზეთ „ბათუმელების“ ინფორმაციის საფუძველზე (გამოქვეყნდა 2 ოქტომბერს).
Sarke Information Agency, 03.10.2014

პირველი საწარმოები დაფინანსდა სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში
სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით პირველი 5 საწარმო დაფინანსდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში, ახალი საწარმოები შეიქმნება აჭარის, გურიის და სამეგრელოს რეგიონებში. კერძოდ, შპს KTM Agro Keda ააშენებს ხილის გადამამუშავებელ საწარმოს ქედის მუნიციპალიტეტში (აჭარა) 1 მილიონი აშშ დოლარით. KTM Agro Chokhatauri გამოყოფს 1 მილიონ აშშ დოლარს მსგავსი საწარმოს მშენებლობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (გურია). შპს „ანასეულის ჩაის ექსპერიმენტული ფაბრიკა“ მოახდენს 971 961 აშშ დოლარის ინვესტირებას ხილის გადამამუშავებელ საწარმოში ოზურგეთში (გურია). ზუგდიდში (სამეგრელო) შპს GN Company მოახდენს 557 412 აშშ დოლარის ინვესტირებას თხილის გადამამუშავებელ ქარხანაში. სხვა

თხილის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაში ზუგდიდში კომპანია 430 000 აშშ დოლარის ინვესტირებას განახორციელებს. შეგახსენებთ, რომ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ დაიწყო გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება თებერვალში. პროექტის მთავარი მიზანია ახალი სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა ან ძველი, დაბალი ეკონომიკური აქტივობის ადგილებში უქმად დარჩენილი საწარმოების რეაბილიტაცია. თანა-დაფინანსებისთვის შესაფერისი პროექტების საერთო ღირებულება უნდა შეადგენდეს 200 000-დან 1 მლნ აშშ დოლარამდე. ბენეფიციარის თანადაფინანსება უნდა განხორციელდეს ნაღდი ფულით და უნდა შეადგენდეს საერთო ღირებულების მინიმუმ 10%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს თანადაფინანსება შეზღუდულია 40%-მდე. ბენეფიციარი ისესხებს დარჩენილ 50%-ს შეღავათიანი კრედიტის ფორმით ფინანსური ინსტიტუტებისგან.
Sarke Information Agency, 02.10.2014

„ყვარლის ბაგა“ 2 მლნ აშშ დოლარს მიიღებს IFC-სგან
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი) გამოყოფს 2 მილიონ აშშ დოლარ კრედიტს რძის მწარმოებელი მეურნეობისთვის „ყვარლის ბაგა“ (ყვარელში დაფუძნდა 2013 წლის ოქტომბერში). ფერმის მფლობელის ლაშა პაპაშვილის ცნობით IFC კრედიტის გამოყენება მოხდება დამატებითი აღჭურვილობის შესაძენად, რომელიც რძის წარმოებას სამჯერ გაზრდის. ამჟამად ყოველდღიურად იწარმება 3 ტ რძე, მაგრამ ეს მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს 10 ტონამდე, განაცხადა მან და დასძინა, რომ ძროხების რაოდენობა გაიზრდება 120-დან 240-მდე. პაპაშვილმა აღნიშნა, რომ შედეგად, „ყვარლის ბაგა“ გახდება უდიდესი რძის მწარმოებელი მეურნეობა საქართველოში". ფერმა ყიდის თავისი პროდუქციას „სანტეზე“ (ადგილობრივი რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია), განაცხადა მან. როგორც აღინიშნა დღეს გამართულ პრეზენტაციაზე, მეურნეობის პროდუქციის ფასი კონკურენტული იქნება საერთაშორისო მომწოდებლების ფასებთან შედარებით, ხოლო აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ, ქართული რძის წარმოება ნაკლებად იქნება დამოკიდებული იმპორტირებულ რძის ფხვნილზე.
Sarke Information Agency, 01.10.2014

ქართული აგრო-ბიზნესის კვლევები მიმდინარეობს ENPARD-ის ფარგლებში
საქართველოს აგრო-ბიზნესის კვლევა „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) ფარგლებში მიმდინარეობს. კვლევის შედეგები გახდება ცნობილი ოქტომბრის შუა რიცხვებში. ევროპის სამეზობლო ინიციატივის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, სასოფლო-სამეურნეო გამოწვევების დასადგენად კვლევის ჯგუფი გამოკითხვას ატარებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომწოდებლებს და მომხმარებლებს შორის სამიზნე რეგიონებში (გურია, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი). ცენტრში აღინიშნა, რომ ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ ზოგიერთმა ფერმერმა გამოთქვა სურვილი, რომ შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები.
Sarke Information Agency, 01.10.2014

სოფლის მეურნეობის სამინისტრო შექმნის დეპარტამენტს დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებისთვის
სოფლის მეურნეობის სამინისტრო გეგმავს დეპარტამენტის დაარსებას იმ პროექტების განხორციელებისთვის, რომლებსაც დონორი ორგანიზაციები (მსოფლიო ბანკი, IFAD, და ა.შ.) აფინანსებენ. ამის შესახებ გამოცხადდა გუშინ, მინისტრ ოთარ დანელიას ვიზიტის დროს აშშ-ში. მინისტრის შეხვედრის დროს მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამინისტრო წარადგენს კონკრეტულ გეგმას ამ საკითხთან დაკავშირებით უახლოეს მომავალში, აცხადებენ სამინისტროში. სამინისტროს განცხადებით, დანელიამ ასევე გამართა შეხვედრა USAID-ის წარმომადგენლებთან და მზადყოფნა გამოთქვა, ჩართოს სასოფლო-სამეურნეო კომპონენტი ახალ პროგრამაში "G for G" („მთავრობა განვითარებისთვის“).

პროგრამა მომავალ წელს დაიწყება, ხოლო აღნიშნული კომპონენტი მოიცავს სარწყავ მიმართულებას, მიუთითებენ სამინისტროში.
Sarke Information Agency, 29.09.2014

ქართული კვერცხის ფასი ისევ არაპროგნოზირებადია

ქართული კვერცხის ფასი კვლავ არაპროგნოზირებადია, აცხადებს ბლოგზე გამოქვეყნებულ სტატიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET). ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ქვეშ „კვერცხის ადგილობრივი მწარმოებლები დიდწილად დაცული იყვნენ გარე კონკურენციისგან არასატარიფო იმპორტის ბარიერების მეშვეობით," აცხადებენ ავტორები და განმარტავენ, რომ ახალმა მთავრობამ მოხსნა ეს ბარიერები, რომლებსაც სოფლის მეურნეობის სამინისტროში უწოდებდნენ „სამართლისა და საერთაშორისო შეთანხმებების სრულ დარღვევას". ამ ქმედებას მოჰყვა „კვერცხის იმპორტის ზრდა, 1,5 მილიონი კვერცხიდან 2012 წლის ბოლო კვარტალში 10,8 მლნ კვერცხამდე 2013 წლის მეორე კვარტალში", აცხადებენ ავტორები და მიუთითებენ, რომ ასეთმა დიდმა იმპორტმა „გამოიწვია ფასების დაცემა და ბევრი ადგილობრივი მწარმოებელი გაკოტრების პირას აღმოჩნდა". „ადგილობრივი მწარმოებლების ლობისტური ძალისხმევის ზეწოლის ქვეშ, მთავრობამ შეცვალა თავისი პოლიტიკა და ხელახლა შემოიღო არასატარიფო ღონისძიებები", აღნიშნულია სტატიაში. სტატიის ავტორის ცნობით გარდა იმპორტის შემცირებისა 2,6 მილიონ კვერცხამდე 2013 წლის მე-3 კვარტალში, ქართული წარმოებაც მოულოდნელად შემცირდა 20%-ით. „რადგანაც ახალ ხელისუფლებას მსო-ს წესების დაცვა უნდოდა, მას არ ჰქონდა უფლება დაეწესებინა შეზღუდვები, რომლებიც მხოლოდ იმპორტიორებს შეეხება. მაგრამ მაშინ, იმპორტისთვის დაბრკოლების შექმნა ყველა სახის „ხარისხის" მოთხოვნების მეშვეობით შეიძლება გადაქცეულიყო თავის ტკივილად ასევე ადგილობრივი მწარმოებლებისთვის", აცხადებენ ავტორები და აღნიშნავენ: „როგორც ჩანს, ძველი ხელისუფლება გარკვეულ ხრიკებს მიმართავდა ადგილობრივი მწარმოებლებისთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად და ამიტომაც ის უკანონო ქმედებაში დაადანაშაულა ახალმა მთავრობამ". როგორც სტატიაში განმარტავენ, „კვერცხის წარმოება არ არის ძალიან მოქნილი. ასე რომ, აკლიათ რა ალტერნატივა, მწარმოებლები შეიძლება რეაგირებდნენ დაბალ ფასებზე 2013 წლის პირველ და მეორე კვარტალში იმით, რომ შეამცირეს პროდუქტიულობა, რაც შეიძლება ჯერ კიდევ იგრძნობოდა მესამე კვარტალში, იმის მიუხედავად, რომ იმპორტის შეზღუდვები აღდგენილი იყო ამ დროისთვის. ამ ყველაფრის შედეგად ფასები გაიზარდა". ავტორები მიუთითებენ საქართველოს მეფრინველეობის ასოციაციაზე, რომლის თანახმად „კვერცხის მწარმოებლების რაოდენობა საქართველოში გაორმაგდა 12-დან 30-მდე" ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, და ასკვნიან, რომ: „თუ საქართველო ისევ არ გაართულებს იმპორტის წესებს, მოსალოდნელია რომ მათი რაოდენობა შემცირდება". სტატიის ავტორები არიან ფლორიან ბირმანი და ოლგა აჟგიბეცევა.
Sarke Information Agency, 25.09.2014

გერმანიის ბიზნეს დელეგაცია ეცნობა ბიზნესის შესაძლებლობებს საქართველოს სოფლის მეურნეობაში

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, მოეწყო გერმანელ ბიზნესმენთა დელეგაციის ვიზიტი, რომელიც მიზნად ისახავს გაეცნონ საქართველოში ბიზნეს შესაძლებლობებს სოფლის მეურნეობის სექტორში. როგორც სამინისტროში განაცხადეს, დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ხორცისა და რძის მწარმოებლები, სუფთა შტამის მეცხოველეობის და მეთევზეობის სექტორების წარმომადგენლები. „გარდა საქართველოს ეკონომიკის ზოგადი მიღწევების და მაკრო-ეკონომიკური წარმატებების პრეზენტაციებისა, დაგეგმილია შეხვედრა ქართველ ფერმერებთან, რათა კონკრეტული თანამშრომლობის პროექტები დაიწყოს და გერმანული წარმოება ან ტექნოლოგიები დაინერგოს საქართველოში", განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ. თავის მხრივ, გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელმა პიტერ ჰარი კარსტენსენმა განაცხადა, რომ „ყოველი

ვიზიტისას საქართველოში, აშკარად ვხედავ, რომ უფრო მეტია გასაკეთებელი სოფლის მეურნეობისა და კვების წარმოების თვალსაზრისით". საქსტატის მონაცემებით, გერმანულმა პირდაპირმა ინვესტიციებმა საქართველოში შეადგინა მე-2 კვარტალში 1,8 მილიონი აშშ დოლარი, რაც 2,06-ჯერ ნაკლებია 2013 წლის მონაცემებთან შედარებით ამავე პერიოდში. 1 კვარტალში იყო უარყოფითი მაჩვენებელი ინვესტიციების კუთხით (-344 000 აშშ დოლარი). იანვარ-ივნისში საქართველოს ექსპორტმა გერმანიაში შეადგინა 20,13 მილიონი აშშ დოლარი (ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 1,4%), ხოლო იმპორტი გერმანიიდან იყო 231,35 მლნ აშშ დოლარი (მთლიანი იმპორტის 5,7%). გერმანიას უკავია მე-8 ადგილი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის, რაც ქვეყნის მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 4,6%-ია.
Sarke Information Agency, 25.09.2014

სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტო დაეხმარება 4 კომპანიას, რომლებიც დაფუძნდა პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში

სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულმა სააგენტომ გაავრცელა განცხადება დღეს, რომლის თანახმად ის დაეხმარება 4 საწარმოს, რომლებიც შეიქმნა სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში. შეგახსენებთ, რომ ამ საწარმოების დაარსება დამტკიცებული იყო მთავრობის მიერ შეხვედრაზე რამდენიმე დღის წინ. სააგენტოს ცნობით, შეხვედრა ბენეფიციარებთან გუშინ გაიმართა, სადაც განიხილეს გეგმები და მათი განხორციელების გზები. სს „საქართველოს სათბურების კორპორაცია“ აპირებს ააშენოს სასათბურე მეურნეობა გარდაბნის რაიონში, ქვემო ქართლის რეგიონი, და ამ დროისათვის ინვესტიციები იქნება 9,8 მილიონი ლარი. იმ ქონების ღირებულება, რომელიც გადაეცა კომპანიას, შეადგენს 2,45 მილიონ ლარს. მეურნეობამ უნდა დაასაქმოს 80 ადამიანი საწყის ეტაპზე. შპს „კოლხეთი და კომპანიამ“ მიიღო 30 555 ლარის ქონება შუა ხორგაში (სამეგრელო), რათა ჩამოყალიბდეს მეცხოველეობის და მეფრინველეობის კომბინატი. კომპანიის ინვესტიციებმა უნდა შეადგინოს 122 220 ლარი, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა უნდა იყოს 20. შპს X Style დააარსებს ტექსტილის საწარმოს თბილისში, ინვესტიციები შეადგენს 282 000 ლარს ამ დროისთვის. კომპანიამ მიიღო 47 000 ლარის ქონება და დაასაქმებს 40 ადამიანს. თავის მხრივ შპს Fixed Current and Plasma Technologies აპირებს დააარსოს ელექტროტექნიკის საწარმო თბილისში, ინვესტიცია იქნება 192 000 ლარი. 32 000 ლარის ღირებულების ქონება გადაეცა კომპანიას, ხოლო საწარმოში უნდა დასაქმდეს 20 ადამიანი საწყის ეტაპზე. დღეისათვის 12 პროექტი დამტკიცდა პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, რომელიც დაიწყო 1 ივნისს.
Sarke Information Agency, 26.09.2014

საზოგადოება და ბანკები: სოფლის მეურნეობის სექტორის პროდუქციის ზრდა არის მცირე ფერმერების მხარდაჭერის პროექტის შედეგი

„სოფლის მეურნეობის სექტორში წარმოებული საქონელი და მომსახურება 2013 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა 2012 წელთან შედარებით. ეს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების მხარდაჭერის პროექტის I ეტაპის დასრულების შედეგია, აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკები“. ამ პროექტის ფარგლებში 264 575 ჰა მიწის დამუშავება მოხდა 2013 წელს და, შედეგად, საქართველოს სოფლის მეურნეობის ექსპორტი გაიზარდა 244 მილიონი აშშ დოლარით 2012 წელთან შედარებით, აღნიშნეს ორგანიზაციაში. ამ წელს, „საზოგადოება და ბანკების“ განცხადებით პროექტის მე-2 ფაზა სრულდება, რომლის ფარგლებშიც 200 000 ჰა-ზე მეტი უკვე დამუშავდა 29 ივლისისთვის. წარმატებით განხორციელების შემთხვევაში სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში" ხელს შეუწყობს წარმოების და ექსპორტის ზრდას, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას და ბიუჯეტის ზრდას, აღნიშნეს ორგანიზაციაში. ამავე დროს, „საზოგადოება და ბანკებმა“ აღნიშნა, რომ მთლიანი სამუშაო ძალის 67% დასაქმებულია შინამეურნეობებში და აქვს უმცირესი წილი მშპ-ში. ეს მიუთითებს ადამიანური რესურსების არაეფექტურ გამოყენებაზე, მიიჩნევს ორგანიზაცია.
Sarke Information Agency, 24.09.2014

საქართველო აირჩიეს EPPO-ს 51-ე წევრად

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით საქართველო ერთხმად აირჩიეს 51-ე წევრად ევროპის და ხმელთაშუა ზღვის მცენარეთა დაცვის ორგანიზაციაში (EPPO) ამ ორგანიზაციის საბჭოს 64-ე სხდომაზე. როგორც სამინისტროს პრეს-სამსახურმა აღნიშნა, EPPO-ს წევრობა დაეხმარება საქართველოს იმ ფიტოსანიტარული ვალდებულებების ეფექტურ აღსრულებაში, რომლებიც თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების (DCFTA) ფარგლებში თავის თავზე აიღო ქვეყანამ. წევრობა ხელმისაწვდომს გახდის საქართველოსთვის EPPO-ს მონაცემთა ბაზას და ინფორმაციას თანამედროვე ფიტოსანიტარიის, ფიტოსანიტარული დაცვის ოპტიმიზაციის, სასოფლო-სამეურნეო ნათესების და ტყეების შესახებ, განაცხადეს პრეს-სამსახურში.

Sarke Information Agency, 24.09.2014

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

მთავრობამ უნდა შეამციროს საპროცენტო განაკვეთი სუბსიდირებულ აგრარულ სესხებზე 6 პროცენტით

მთავრობა შეამცირებს საპროცენტო განაკვეთს სუბსიდირებულ აგრარულ სესხებზე 6 პროცენტით, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა დღეს გამართულ საპარლამენტო კითხვა-პასუხის სესიაზე. მან განაცხადა, რომ სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული სესხების საერთო რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება მიმდინარე 64 მილიარდ დრამთან შედარებით, ხოლო საპროცენტო განაკვეთი შემცირდება 6%-ით. მინისტრმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტია სომხეთის ეკონომიკისთვის და თამაშობს მნიშვნელოვან როლს საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. „ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბევრი გაკეთდა ამ მიმართულებით და გარკვეული პროგრესი აშკარაა. სახნავი ფართობი გაიზარდა საგრძნობლად ბოლო ოთხი წლის განმავლობაში," განაცხადა მან. მთავრობის 2011 წლის გადაწყვეტილებით სომეხ ფერმერებს შეეძლებათ მიიღონ შეღავათიანი აგროსესხი 14%-ად წელიწადში, საიდანაც 4%-ის (სასაზღვრო სოფლებში - 6%) სუბსიდირება ხდება ხელისუფლების მიერ. სესხები გაიცემა სომხურ ეროვნულ ვალუტა დრამში და სესხის საშუალო მოცულობაა 625 000 დრამი 6 თვიანი საშეღავათო პერიოდით. პირველი პროცენტები უნდა დაიფაროს და შემდეგი 6 თვე უნდა მოხდეს სესხის გადახდა. ოფიციალური მონაცემებით 2013 წელს ხელისუფლებამ დახარჯა 634,5 მილიონი დრამი (დაახლოებით 1,5 მილიონი აშშ დოლარი) საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებისთვის, 9.8%-ით უფრო მეტი, ვიდრე წინა წელს. აგვისტოს ბოლოს სასოფლო-სამეურნეო კრედიტების მოცულობა იყო 115,3 მილიარდი დრამი, რაც 53 პროცენტით ზრდაა წლის დასაწყისთან შედარებით. სოფლის მეურნეობის პროდუქციამ იანვარ-აგვისტოში შეადგინა 482,9 მილიარდი დრამი, 4,9%-იანი ზრდა ამავე პერიოდთან შედარებით გასულ წელს.

(USD / AMD 1: 407) *წყარო: 01.10.14*

საკვების ფასები სომხეთში მოიმატებს 0,7%-ით 2014 წლის სექტემბერში

ფასები საკვებზე სომხეთში გაიზარდა 0,7%-ით 2014 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, განაცხადა სომხეთის სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა. ეს ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო 0,9% - საკონდიტრო ნაწარმის, ერთი პროცენტი - ცხოველური და მცენარეული ცხიმის, 1,3% - ბოსტნეულის და კარტოფილის ჯგუფის და 9,4% - კვერცხის ფასების ზრდით. ფასები ბოსტნეულზე და კარტოფილზე გაიზარდა 1,7%-ით 2014 წლის სექტემბერში, ამავე პერიოდთან შედარებით წინა წელს. კვერცხი სომხეთში იყო 10,8%-ით უფრო იაფი 2014 წელს სექტემბერში, ვიდრე 2013 წლის სექტემბერში. ფასები თევზის პროდუქტებზე გაიზარდა 7%-ით 2014 წლის სექტემბერში, იმავე პერიოდთან შედარებით წინა წელს. ცხოველური და მცენარეული ცხიმის ფასები დაეცა 3,3% 2014 წლის სექტემბერში, 2013 წლის

სექტემბერთან შედარებით. ხორცის პროდუქტებმა აჩვენა 0,6% წლიური და 0,5% ყოველთვიური გაძვირება 2014 წლის სექტემბერში. ფასები ხილზე გაიზარდა 5,3%-ით 2014 წლის სექტემბერში 2013 წლის სექტემბერთან შედარებით, მაგრამ შემცირდა 4,4%-ით წინა თვესთან შედარებით. სამომხმარებლო ფასები სომხეთში 0,4%-ით გაიზარდა 2014 წლის სექტემბერში. ფასები გაიზარდა 2,9%-ით იანვარ-სექტემბერში 2014 წელს ამავე პერიოდთან შედარებით 1 წლით ადრე. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ინფლაცია პროგნოზირებულია 4%-ით (± 1.5%).
წყარო: Arka, 30.09.14

ერევანის ბრენდის კომპანია ასრულებს ყურძენის შეძენას არარატის ველზე
ერევანის ბრენდის კომპანიამ დაასრულა ყურძენის წლევანდელი შეძენა არარატის ველზე, კომპანიის პრეს-სამსახურმა გამოაცხადა შაბათს. კომპანიის ფილიალებმა არარატის და არმავირის პროვინციებში შეიძინა იმდენი ყურძენი, როგორც იყო დაგეგმილი - 33 000 ტონა მთლიანობაში - გადაუხადეს რა ფული მევენახეებს პირად საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ფილიალი ტავუშის პროვინციაში კვლავ ყიდულობს ყურძენს და აპირებს გააგრძელოს 3 ოქტომბრამდე, როცა 4 000 ტონაზე მეტს შეიძენს, როგორც დაგეგმილი იყო. ერევანის ბრენდის კომპანია აპირებს რეკორდულად მაღალ შესყიდვებს წელს, შეისყიდის რა 37 000 ტონას უპრეცედენტო 35 000 ტონასთან შედარებით 2013 წელს. წელს მევენახეები ყიდიან ყურძენს 150 დრამად ერთ კილოგრამზე ფილიალებში არმავირის და არარატის რაიონებში და 140 დრამად ტავუშის ოლქის ფილიალში ნაცვლად წინა წლის 145 და 135 დრამისა, შესაბამისად. ერევანის ბრენდის კომპანია არის ექსკლუზიური მწარმოებელი ბრენდის „არარატი“ და ყველაზე მსხვილი გადამხდელი ამ სფეროში და ყურძენის შემსმყიდველი. 1999 წელს იგი შეუერთდა Pernod Ricard-ის საერთაშორისო ჯგუფს, რომლის საქმიანობა მოიცავს ცნობილ ბრენდებს, როგორიცაა Chivas (შოტლანდიური ვისკი), Absolut (შვედური არაყი), Martell (ფრანგული კონიაკი) და Jameson (ირლანდიური ვისკი).
27.09.2014, ერევანი, 27 სექტემბერი / ARKA /.

ერევანი უმასპინძლებს სოფლის ცხოვრების და ტრადიციების ფესტივალს
არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე გზა“ გამართავს სოფლის ცხოვრების და ტრადიციების ფესტივალს. ღონისძიება გაიმართება 10 ოქტომბერს სომხეთის დედაქალაქ ერევანში. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის და სოფლის ცხოვრების განვითარებას სომხეთში. ფესტივალი შეეცდება თანხების მოზიდვას არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე გზისთვის“ და დახმარებას გაუწევს ქალ ფერმერებს, რომლებიც მუშაობენ ერევნის გარეთ. ღონისძიება თავს მოუყრის ფერმერთა ჯგუფებს საქართველოდან და სომხეთიდან, ბიზნესმენებს სოფლის მეურნეობის სექტორიდან და ქალთა ჯგუფებს. გამოფენა-გაყიდვაზე (ფესტივალზე) ფერმერებს ექნებათ სტენდები, სადაც წარმოდგენილი იქნება მათი მოსავლის ნიმუშები, ხელით ნაკეთი ნივთები, ტრადიციული სახლში დამზადებული საკვები და ახალი და გადამუშავებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნიმუშები. ღონისძიება მოიცავს გამოფენას, გაყიდვას და რეკლამირებას ფერმერების მიერ წარმოებული ხილის, ბოსტნეულის, მწვანილის და ტრადიციული კერძების; ჯილდო გათვალისწინებულია ფერმერთა პროდუქტების საუკეთესო პრეზენტაციისთვის (საუკეთესო სტენდი); ასევე, იქნება ცოცხალი მუსიკის კონცერტი. 11 ოქტომბერს ეროვნული კონფერენცია თემაზე: „მდგრადი სოფლის მეურნეობა: მწვანე მომავალის გასაღები" ჩატარდება სომხეთის დედაქალაქში.
წყარო: news.am, 15.09.14

გამოცემები და სხვა

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი

ჩვენი წევრი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2014 წლის 25-ე გამოცემას გაეცანით **ამ მისამართზე.**

http://agrogeorgia.blog.com/

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებებში ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე. **link**

DWV Agro Blog

გთხოვთ იხილოთ ჩვენი **AGRO BLOG** სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში საჭირო ინფორმაციის მისაღებად. თუ თქვენ გაქვთ ინფორმაცია და გინდათ მისი გაზიარება AGRO BLOG-ზე, გამოაგზავნეთ მისამართზე agro@georgien.ahk.de

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/
http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/